DisboFLOOR 304
2K-PU-Abdichtung

2 კომპონენტიანი, პიგმენტირებული და ელასტიური ჰიდროიზოლაცია - აივნების, ტერასების და ღია სივრცეების იატაკებისათვის.
შემოწმებულია DIN 18531, ნაწილი 5-ის შესაბამისად.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები	გარე სივრცეებში არსებული მინერალური იატაკების ჰიდროიზოლირებისათვის (აივნები, ტერასები, ღია დერეფნები). შემოწმებულია Disbon Premium აივნების სისტემებში - DIN 18531-5 ნორმების შესაბამისად, ფლისის ჩანართის გარეშე.
თვისებები	■ შემოწმებულია DIN 18531, ნაწილი 5-ის შესაბამისად, ფლისის ჩანართის გარეშე ■ ცივი ელასტიურობა და ბზარების გადაფარვის უნარი ■ გამხსნელების გარეშე
მასალის შემკვრელი	2 კომპონენტიანი პოლიურეთანის ფისი
შეფუთვის ზომები	9 კგ. ლითონის კომბინირებული კონტეინერი
ფერი	ნაცრისფერი
შენახვის პირობები	შეინახეთ გრილ და მშრალ ადგილას, მოარიდეთ ყინვას. ორიგინალ/დახურულ შეფუთვაში შენახული პროდუქტის ვარგისიანობის ვადა სულ მცირე 9 თვეა. დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში, გამოყენებამდე მასალა შეინახეთ დაახლ. 20°C ტემპერატურაზე
ტექნიკური პარამეტრები	■ დრეკადობა: > 500 % (20° C-ტემპერატურის პირობებში) ■ სიბლანტე: დაახლ. 8.000 mPas:

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები	ბეტონი და ცემენტი. ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, სუფთა და თავისუფალი ადჰეზიური ნივთიერებებისაგან. ზედაპირს უნდა ჰქონდეს დატვირთვის უნარი, ჰქონდეს სტაბილური ფორმა, იყოს მყარი, თავისუფალი ფხვიერი ნაწილაკებისგან, მტვრისგან, ზეთისგან და ცხიმებისგან. ზედაპირის გაჭიმვის სიძლიერე უნდა იყოს საშუალოდ 1,5 N /მმ2.ყველაზე მცირე ერთეული მნიშვნელობა არ უნდა იყოს 1.0 N /მმ2-ზე ნაკლები. ზედაპირებმა უნდა მიაღწიონ თანაბარ ტენიანობას - ბეტონი და ცემენტი: მაქს. წონის 4% (CM-ის მეთოდი).

ზედაპირის მომზადება	ზედაპირი უნდა მომზადდეს მექანიკურად, განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. არამზიდი და დაბინძურებული დანაფარები/ფენები სრულად უნდა მოშორდეს ზედაპირს. ფორები და ღრუები უნდა გაიხსნას, ზედაპირს უნდა ჰქონდეს წვრილმარცვლოვანი სტრუქტურა. მინერალური ზედაპირები, ფორების შესავსებად დაგრუნტეთ პროდუქტით: DisboPOX 420 E.MI PLUS. უხეში ზედაპირები დამატებით დაფითხეთ, ნაკაწრების შემავსებელი ფითხით. მცირე დეფექტები და ბზარები შეავსეთ Disbocret®-PCC-Mörtel-ით ან DisboXID EP -Mörtel-ით. მზიდუნარიანი, 2 კომპონენტიანი დანაფარები საფუძვლიანად უნდა გაიწმინდოს. დაამუშავეთ ზედაპირი ზუმფარის ქაღალდით. 2 კომპონენტიანი ეპოქსიდური (2K-EP) დანაფარების ჰიდროიზოლირება პროდუქტით - DisboFLOOR 304, დამატებითი დაგრუნტვის გარეშეა შესაძლებელი. მზიდუნარიანი პოლიურეთანის (PU) დანაფარები უნდა დაიგრუნტოს პროდუქტით: DisboADD 901 1K-PU-Primer და 20 წუთის (მაქს. 6 საათის) შემდეგ დაიფაროს DisboFLOOR 304-ით. კრიტიკული გადაბმის ადგილებში, შესაძლებელია დამატებით გამოყენებულ იქნას ბუთილის, თვითწებვადი საიზოლაციო ლენტი - DisboADD 976 Butylband. საიზოლაციო ლენტი უნდა დამაგრდეს დაგრუნტულ ზედაპირზე და შემდეგ დაიფაროს DisboFLOOR 304-ით.
მასალის მომზადება	კომპონენტი B (გასამყარებელი) დაამატეთ კომპონენტს A (ძირითადი მასა). ინტენსიურად შეურიეთ, ნელა მბრუნავ სარევში (მაქსიმუმ 400 U/წთ.) ერთგვაროვანი მასის და ფერის მიღებამდე. მასალა გადაიტანეთ სხვა ჭურჭელში (საცავში) და კვლავ საფუძვლიანად აურიეთ. საჭიროების შემთხვევაში DisboFLOOR 304-ის დაკორექტირება შესაძლებელია, თიქსოტროპული მეთოდით - DisboADD 913 PU Stellmittel-ის დახმარებით (0,3 - 3 წონა-%). DisboFLOOR 304-ის თიქსოტროპულად დამუშავება ნებადართულია მხოლოდ პოლეურეთანის, მაკორექტირებელი საშუალებით DisboADD 913 PU Stellmittel-ით, რადგან სხვა მაკორექტირებელმა საშუალებებმა, შესაძლოა გამყარებისას გამოიწვიოს ხარვეზები. შენიშვნა: თუ საჭიროა რაოდენობის ნაწილობრივ ამოღება, კომპონენტი B კარგად უნდა იყოს შერეული. გაზომეთ ამოღებული რაოდენობა შესაბამისი სასწორის გამოყენებით, შესაბამისი შერევის თანაფარდობით და ინტენსიურად აურიეთ. გამოიყენეთ ამოღებული რაოდენობა რაც შეიძლება სწრაფად.
შერევის კოეფიციენტი	კომპონენტი A (ძირითადი მასა) : კომპონენტი B (გასამყარებელი) = 5: 1 წილი წონით
დატანის მეთოდები	დაიტანება დაკბილული შაბერით (შპატელი).
დაფარვის სტრუქტურა	იხილეთ: Disbon Premium - აივნის სისტემების, დაფარვის სტრუქტურის მონაცემთა ფურცელი.
	ჰიდროიზოლაცია დაასხით შერეული მასალა დაგრუნტულ ზედაპირზე და თანაბრად გაანაწილეთ დაკბილული შაბერით/შპატელით (მაგ. დაკბილული შპატელი: S2 Fa. Multitool). 2%-ზე მეტი დახრილობის მქონე და ვერტიკალურ ზედაპირებზე, DisboFLOOR 304-ი დაიტანეთ დაახლ. 0,3 - 3 წონა-% DisboADD 913 Stellmittel-ით თიქსოტროპული მეთოდით გაზავებული. DIN 18531-5-ის სესაბამისად, ჰიდროიზოლაციის სიმაღლე ამომავალ კომპონენტებზე უნდა იყოს არანაკლებ 15 სმ. ჰიდროიზოლაცია ყოველთვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი ულტრაიისფერი სხივებისადმი მდგრადი ზედა დანაფარით და არ შეიძლება მისი კვარცის ქვიშით მოფრქვევა.
ხარჯი	ჰიდროიზოლაცია - DIN 18531-5-ის შესაბამისად: დაახლ. 2,2 კგ/მ²
გამოყენების დრო	20 C ტემპერატურისა და 60%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში დაახლ. 20 წუთი. მაღალი ტემპერატურის პირობებში გამოყენების დრო მცირდება, ხოლო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში იზრდება.
გამოყენების პირობები	**მასალის, ცირკულირებადი ჰაერის და ზედაპირის ტემპერატურა:** მინიმალური - 10° C, მაქსიმალური - 30° C. ჰაერის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 80%.-ს. ზედაპირის ტემპერატურა არანაკლებ 3° C-ით უნდა აღემატებოდეს ნამის წერტილის ტემპერატურას. არ გამოიყენოთ პროდუქტი სხვა პირობებში - შესაძლოა თეთრი ლაქების გაჩენა!
დრო სამუშაოებს შორის	პროდუქტებით - DisboFLOOR 304-ით და DisboPUR 305-ით მუშაობის პროცესებს შორის ლოდინის დასაშვები პერიოდი 20 °C ტემპერატურის პირობებში: მინ. 12 საათი და მაქს. 5 დღე. ზედაპირი წინასწარ უნდა იყოს დაგრუნტული/გაჟღენთილი პროდუქტით - DisboADD 901 1K PU. პროდუქტებით - DisboFLOOR 304-ით და DisboTHAN 449-ით მუშაობის პროცესებს შორის ლოდინის დასაშვები პერიოდი 20 °C ტემპერატურის პირობებში: მინ. 12 საათი და მაქს. 24 საათი. წინააღმდეგ შემთხვევაში ზედაპირი დაგრუნტული/გაჟღენთილი უნდა იყოს პროდუქტით - DisboADD 901 1K PU. მაღალი ტემპერატურის პირობებში გამოყენების დრო მცირდება, ხოლო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში იზრდება. თუ სამუშაო პროცესებს შორის ლოდინის პერიოდი 5 დღეზე მეტია (ან თუ ზედაპირზე შეიმჩნევა ცარცული ნიშნები, ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედების გამო), დამატებით გაშლიფეთ DisboFLOOR 304-ის დანაფარები, საშლიფი მანქანით და ზუმფარის ქაღალდით (მარცვლოვანობა 100).
შრობის დრო	20 C ტემპერატურისა და 60%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი წვიმის მიმართ გამძლეა დაახლ. 4 საათში. 12 საათის შემდეგ ზედაპირზე შეიძლება ფეხით სიარული და განმეორებით დამუშავება. დაახლ. 7 დღის მერე ზედაპირი სრულად მზადაა მექანიკური და ქიმიური დატვირთვების ასატანათ. უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება. გამყარების/გამაგრების პერიოდში, დაიცავით დატანილი მასალა ტენიანობისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა დაზიანდეს ზედაპირი და შემცირდეს ადჰეზია.

მითითებები

ხელსაწყოების წმენდა	სამუშაოს დასრულებისას, ან ხანგრძლივი შესვენების დროს, ხელსაწყოები დაუყოვნებლივ გაწმინდეთ პროდუქტით - DisboADD 499.
სერტიფიკატები	აქტუალური სერთიფიკატები ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში.

უსაფრთხო მოხმარების წესები	პროდუქტი განკუთვნილია მხოლოდ სამრეწველო და პროფესიული მოხმარებისთვის. ***კომპონენტი A (ძირითადი მასა):*** მოარიდეთ ბავშვებს! *შესაძლოა გამოიწვიოს კანის გაღიზიანება. იწვევს სერიოზულ თვალის დაზიანებას. საზიანოა ჯანმრთელობისთვის შესუნთქვის შემთხვევაში. შესუნთქვისას შესაძლოა გამოიწვიოს ალერგია, ასთმური სიმპტომები, ან სუნთქვის გაძნელება. არ შეისუნთქოთ წარმოქმნილი "ღრუბელი". არ დაუშვათ პროდუქტის თვალში, კანზე და ტანსაცმელზე მოხვედრა. გამოყენების შემდგომ დაუყოვნებლივ დაიბანეთ ხელები. ატარეთ დამცავი სათვალე და ხელთათმანები. თუ თავს ცუდად იგრძნობთ, მიმართეთ ექიმს. თვალების ხანგრძლივი გაღიზიანების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.* **შეიცავს:** პოლი, .ალფა.-ჰიდრო-. ომეგა.- ჰიდროქსი-, პოლიმერი 2,4-დიიზოციანატო-1-მეთილბენზოლით, 4-ეთილ-მ-ფენილენდიიზოციანატი. ენტალიტი: პოლი, .ალფა.-ჰიდრო-.ომეგა.-ჰიდროქსი-, პოლიმერი 2,4-დიიზოციანატო-1-მეთილბენზოლით, 4-ეთილ-მ-ფენილენდიიზოციანატი. 2023 წლის 24 აგვისტოს მდგომარეობით, პროდუქტის სამრეწველო ან კომერციულ გამოყენებამდე, ხელოსანმა უნდა გაიაროს სპეციალიზირებული/პროფესიული სწავლება. ***კომპონენტი B (გასამყარებელი) ::*** მოარიდეთ ბავშვებს! საზიანოა ჯანმრთელობისთვის გადაყლაპვის შემთხვევაში. შესაძლოა გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია. იწვევს სერიოზულ თვალის დაზიანებას. მომწამვლელია წყლის ორგანიზმებისთვის, ხანგრძლივი ზეგავლენით. არ დაუშვათ პროდუქტის თვალში, კანზე და ტანსაცმელზე მოხვედრა. არ დაუშვათ პროდუქტის გარემოში დაღვრა. ატარეთ დამცავი სათვალე და ხელთათმანები. გადაყლაპვის შემთხვევაში: სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს. თვალების ხანგრძლივი გაღიზიანების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს. **შეიცავს:** 6-მეთილ-2,4-ბის (მეთილთიო)ფენილენ-1,3-დიამინი, სალიცილის მჟავა. ყურადღება! მიფრქვევისას შესაძლოა წარმოიქმნას სასუნთქი გზებისთვის საშიში ჰაერ-წვეთები. არ შეისუნთქოთ მიფრქვევისას წარმოქმნილი "ღრუბელი".
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვები (მასალის ნარჩენების გარეშე). გამაგრებული მასალის ნარჩენების უტილიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი ნორმების გათვალისწინებით.
აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)	პროდუქტის კატეგორია (Kat. A/j): 500 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს არაუმეტეს 20 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
პროდუქტის კოდი	Giscode: PU60
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ "კაპაროლის" ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია "კაპაროლი" სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. **შპს კაპაროლ ჯორჯია** ალ. ქართველიშვილის ქ. N8, 0198 თბილისი საქართველო office@caparol.ge www.caparol.ge